


№ 5—1917.
კვირა იანვარი 29

წელ. მეხუთე გამოცემისა

ფასი 15 კ.

## შინაარსი

1, მეთაური—ა) სამშობლოს სადიდებლად! ბ) ნიკო გოცირიძე . . . . . . . . . . , 2
2, ივ. გომართელი—აჭარლები და ახიკ-სოზი 3
3, ალ. რიონისპირელი—და ვწუევდი, ვწუევდი . . . . . . . , . . . . . . . . . . 2
4, გ. ქუჩიშვილი—ჩემი ფიქრები . . . . 5
5, დია ჩიანელი—ოცნების სამეფოში. ბრმა-მუნჯი . . . . . . . . . . ; . . . . . . . „
6, ნ. მიწიშვილი—პარადოქსები . . . . . 6
7, ილ. ფერაძე—იდეალი ნადსონიდან . . 7
8, ლადო ბზვანელი—სახელმძღვანელოები ქართული ლიტერატურისა და ისტორიის „
9, დიმიტრი ყიფიანი—წრთვნა სულისა, მისი ხელმაწერიდან გამოკრებილი ნინო ყიფიანის-მიერ II . . . . . . . . . . . . . . 8
10, დავ. კილოსანიძე—მოკლე იყო ზღაპარი! 9
11, მ ველისციხელი—*** ლექსი . . . 9
12 იოსებ არიმათიელი—ის. ნადსონი . . „
11, გრ. საქარიქედელი— მოსე მწერალი 10
14, გ. კვიკვიძე—დაგვიანებული ხმა . . 12
15, სახიობა, წვრილი ამბები., სურათები.

38
1917/3



ს. ი. ნადსონი

რუსთა მგოსანი. მისი ბევრი ლექსია ქართულად ნათარგმნი ილ. ფერაძისა და სხვათაგან. იანვრის 19 შესრულდა მისი გარდაცვალების 30 წ. თავი. გარდაიცვალა 25 წლისა. იხ· ამავე ნომერში მისი ლექსი „იდეალი."

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იანვრის 29

**სამშობლოს** რასაც შევჰქმ—ის შემრჩება, **სადიდებლად!** რაც არა—ოხრად დამრჩებაო!

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილი, თავად-აზნაურთა უმეტესობა და ზოგიერთი მათი მიმყოლი მოხელეობა ამა ქვეყნის მტკიცედ იცავდა: გამალებით ნთქავდა როგორც მამა-პაპით გადმოცემულ მამულ-დედულს, ისევე თვის ჯანსა და ღონეს, სულსა და გულს...

არა ნაკლებ ბედოვლათობდა ამ წოდების შთამომავალი მოზარდი თაობა, რომელიც უმაღლესი განათლების დიპლომის ძიებაში მართლა და მეცნიერული ცოდნით კი არ იმოსავდა თავს, არამედ ფუქსავატობით, სულიერ—სხეულებრივ დაჩაჩანაკებით.

შედეგი ასეთი უკუღმართობისა თვალწინა გვაქვს.

ერთის მხრით უცხოთა ხელში გადასული საქართველოს დიდძალი მიწა-წყალი, მეორეს მხრით ჯან-ღონე დალეული ნასწავლ ახალგაზრდობის დიდი უმეტესობა, რომელთა შორის ნამდვილი მოქალაქე და მტკიცე რწმენა მისწრაფების კაცი სანთლით საძებარია...

...ჩვენის ქვეყნის სანუგეშოდ და სადიდებლად ბოლო ათეულმა წელმა წარმოშვა რავდენიმე პრაქტიკული მუშაკი,—საალებ-მიცემო და სამრეწველო გამჭრიახობით დაჯილდოვებული, რომლებიც მხოლოდ სიტყვით კი არა,—მუყაითი მუშაობით განამტკიცებენ ქართველ კაცში დარჩენილ უნარს თვითმოქმედებისას...

ჩვენი ხსნაც ამაშია: მომჭირნეობა, შრომა, დროს დაფასება, მამა-პაპით გადმოცემულ ქონების გაზრდა-გაათკეცება და კულტურულ წინსვლის გაძლიერება!—აი რა უნდა აფრთოვანებდეს ყოველს ქართველს!..

თავადი შვილია თუ ბურჟუა, სამღვდელოა თუ გლეხი, სწავლულია თუ მოსწავლე—ერთი მიზანი უნდა ასულდგმულებდეს—სამშობლოს სადიდებლად შექმნას რამე: სამეცნიერო, სამწერლო, სამრეწველოს, სასცენო, საკულტურო თუ სხვა რომელსამე ასპარეზზე...

მომავალი მხოლოდ იმას ულიმის, ვინც თავის სამშობლოს სადიდებლად მხნედმუშაკობს..



**ნიკო გოცირიძე**
(20 წ. მოღვაწეობის გამო)

მდაბიო ხალხის გულისხმას ჩასაგდებად დიდი ღვაწლი მიუძღვის სახალხო თეატრს თავის უანგარო მუშაკობით, რომელთა შორის ერთი პირველთაგანი ადგილი უჭირავს დამსახურებულ სცენის მოყვარეს ნიკო გოცირიძეს.

თითქმის 25 წელიწადია, რაც ჩვენში სახალხო თეატრი აღორძინდა. მისმა მესვეურ-ქურუმებმა გამუდმებული, შეუჩერებელი მუშაობით მდაბიო ხალხში სათეატრო ხელოვნებას ისე ღრმად გაუდგეს ფესვები, რომ უიმისოდ ხალხს თვისი სულიერი აღორძინება ვერც-კი წარმოუდგენია და ამ ხელოვნების დამსახურებულ მუშაკთ გულწრფელად სდაფნის.

მომავალ შაბათს, თებერვლის 4, სახალხო სახლში გაიმართება სახალხო თეატრის თვალის ნიკო გოცირიძის მოღვაწეობის 20 წლის შესრულების დღესასწაული. სცენის ამ უანგარო მოღვაწის შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ. ახლა-კი აღვნიშნავთ, რომ ნიკო გოცირიძის დღესასწაული იმავე დროს სახალხო თეატრის წინამძღოლობის დღესასწაულიც არის და იმედია, ხალხი, რომლის სამსახურსაც ნიკომ 20 წელზე მეტი შეალია, ამ დღეს ღირსეულად შეხვდება!..

## და ვწყევლი! ვწყევლი,

იყო დრო, როცა შვებით აღვსილი
მიმღერდა გული ნარნარ ხმაზედა,
მისებრ მგზნებარეს და ლაღ მცინარეს
ვერ იპოვიდით თვით ცის თაღზედა.
მაგრამ როდესაც ვცანი სოფელი,
ცხოვრების ზღვაზე დავიწყე ცურვა,
მას აქეთ გავხდი ცრემლთა მთოველი
დასულსა მიწყლავს ტანჯვა და ურვა.
და ეხლა მთვრალი შურის-ძიებით
ვაქლერებ ჩანგსა სასტიკ ბრძოლისას,
და ვწყევლი, ვწყევლი გმობის ჰანგებით
წესსა და ადათს ამა სოფლისას!

**ალ. რიონისპირელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარლები და „აჩიკ-სოზი"

არავისათვის დაფარული არ არის, რომ კავკასიაში გონებრივათ ყველაზე უფრო ჩამორჩენილი თურქები არიან. ყველაზეუკეთ ეს გარემოება ბაქოს მაჰმადიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ იცის ცხვირის წინ ამ საზოგადოებას უვიცი, შეუგნებელი თანამოძმეები ახვევია და იმის მაგიერ' რომ მათ გაუხსნას სკოლები, მათში შეიტანოს სინათლე, აჭარას წაეპოტინა და ქართველ მაჰმადიანებში ხსნის სკოლას.

რატომ, რა მოსაზრებით?

იმ მოსაზრებით, რომ ქართველი მაჰმადიანები მას მიაჩნია თურქებად.

ბაქოს მაჰმადიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების ამგვარ შეხედულებას აშკარათ ამჟღავნებს გაზეთი „აჩიკ-სოზი"

ამ გაზეთში მოთავსებულ წერილს ქართველი პოლიტიკანების შესახებ ერთი ფრიად დიდი ღირსება აქვს: გულახდილობა.

„აჩიკ სოზისათვისო" ისე როგორც ბაქოელ მაჰმადიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისათვის, ქართველი მაჰმადიანები არ არსებობენ, —მთელი აჭარა დასახლებულია თურქებით.

„აჩიკ-სოზმა" ორიგინალობაც კი ვერ გამოიჩინა და პოლიტიკანობით გატაცებულმა დედააზრი ამგვარი პოლიტიკისა სომხის ბურჟუაზიას მოჰპარა,

სომხის ბურჟუაზიისათვის ქართველი გრიგორიანები არ არსებობენ, ვინც გრიგორიანია ის სომეხია.

ამგვარსავე აზრს დასდგომია „აჩიკ-სოზიც", მისთვის მაჰმადიანები ქართველები არ არსებობენ,—ვინც მაჰმადიანია, ის თურქია, მორჩა და გათავდა. სარწმუნოება და ეროვნება „აჩიკ-სოზისათვის„ ცალცალკე არ არსებობენ,—მისთვის სარწმუნოება სავსებით ჰფარავს ეროვნებას. რა ვუყოთ, რომ უძველეს დროს აჭარაში ქართველები იყვნენ, დღეს აჭარლები მაჰმადიანები არიან და მაშასადამე თურქები.

ეს არის პირწავარდნილი აზიური შეხედულება.

თუ „აჩიკ-სოზს" უნდა თანამოძმეთა შორის სინათლე შეიტანოს, უმალ თვითონ უნდა გაინათლოს თავი და შეიგნოს ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ ეროვნება და სარწმუნოება ერთმანერთში ასარევი არ არის და განათლებულ ევროპაში აღარც ურევენ. აჭარა არის საქართველოს ნაწილი, აჭარლები არიან ჩვენი ღვიძლი ძმები—ქართველები.

უძველეს დროში თურქებმა ძალდატანებით, ცეცხლითა და მახვილით მიაღებიეს აჭარლებს მაჰმადის სჯული, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ აჭარლები გათურქდნენ? ალბათ ასე ეგონათ იმ თურქებს, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდენ აჭარლებში მაჰმადის სარწმუნოებას.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ დღესაც თურმე ასე ჰგონია „აჩიკ-სოზს" და ბაქოელ მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას

აზრის წინმსვლელობას რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში მათთვის უქმათ და უნაყოფოთ ჩაუვლია.

ჩვენი მეგობრებისაგან სულ სხვა პასუხს და სულ სხვა კილოს მოველოდით.

მაგრამ ასეთია ჩვენი ხვედრი...

ვინ გაგვიტანა, რომ „აჩიკსოზმა" და ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გაგვიტანოს!

ქართველებს სრული უფლება ჰქონდათ, ეფიქრა, რომ კავკასიის თურქები თავის წინაპართა ცოდვას აღიარებდენ და იტყოდნენ: ძალმომრეობით მოგგლიჯეთ გულზე თქვენი ძმები—აჭარლები და დღეს თქვენი შეერთება ჩვენც გვახარებს, სინიდისს გვიწმინდავსო.

ამის მაგიერ რასა ვხედავთ?

როდესაც აჭარამ თვისი ძმები—ქართლი და იმერეთი იცნო და ხელი გაუწოდა, ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება და „აჩიკ-სოზი" შუაში ეჩხირებიან და თავის წინაპართა ცოდვას იმეორებენ: ცდილობენ, ძმები ერთმანერთს დააშორონ.

ამავე დროს კი გვარწმუნებენ: თქვენი მეგობრები ვართო.

ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი მეგობრებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ჩვენი მეგობრობის შუბი აჭარლებზე უნდა გადატყდეს, დაე გადატყდეს!

„აჩიკ-სოზმა“ კი არა, კავკასიის მთელმა თურქობამ უნდა იცოდეს, რომ ქართველ ერისათვის აჭარა გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე ცარიელი სიტყვები მეგობრობისა.

ქართველი ერი დიდიხანია დაშორდა „აჩიკ-სოზის“ აზიურ მსჯელობას და სარწმუნოებასა და ეროვნებას ის ერთი-მეორეში არ ურევს.

არც ერთ შეგნებულ ქართველს აზრათ არ მოსვლია აჭარაში ქრისტიანობის გავრცელება და არც გამოთქმულა პრესაში არაფერი ამის მზგავსი.

ჩვენთვის სულ ერთია, რა სარწმუნოებისაც იქნებიან აჭარლები.

ჩვენთვის სრულებით საკმარისია, რომ აჭარლები ქართველები არიან.

ქართველი ერისათავის აუცილებლად საჭიროა, რომ თვითონ აჭარლები თავის თავს ქართველებათ თვლიდენ.

ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ეროვნების საერთო ნიადაგზე სარწმუნოებრივი ქიდაგება დავიწყოთ და აჭარლები გავაქრისტიანოთ.

დაე, აჭარლებმა იცნონ თვისი თავი მხოლოდ ქართველებად და რწმენის სამთავროში მაჰმადს გაჰყვებიან თუ ქრისტეს, ეს მათი პირადი, მათი სინიდისის საქმეა.

„აჩიკ-სოზი“ როდი კმაყოფილდება სარწმუნოებით. აჭარლებისმაჰმაიდანობის ნიადაგზე ის მართავს ეროვნულ პროპაგანდას და ცდილობს ქვეყანა დააჯეროს, რომ აჭარლები თურქები არიან.

ეროვნული შეგნება თან-დათან ვრცელდება აჭარლებში, ისინი თავის თავს ნელანელა ქართველებათ აღიარებენ. აქ არის ჩვენი დიდი სიხარული, ჩვენი დიდი დღესასწაული.

სამწუხაროთ ჩვენი დიდი დღესასწაული „აჩიკ სოზს“ შავდღეთ გადაქცევია.

მას მოსვენებას უკარგავს ის გარემოება, რომ აჭარლები თავისთავს
ქართველებათ სთვლიან.

დიად, „აჩიკ-სოზო,“ აჭარლები ქართველები არიან. და თქვენი წინაპრები ამაოთ ჰლამობდენ მათ გათურქებას,

ჩვენ არ ვცდილობთ მათ გაქრისტიანებას, რადგანაც მიზანს ვერ მივაღწევთ. ნურც თქვენ ცდილობთ მათ გათურქებას, რადგანაც მიზანს ვერ მიაღწევთ.

დაე, აჭარლები დარჩენ მაჰმადიანებათ, აქ ჩვენ არ შეგეცილებათ: ეცადეთ, განამტკიცოთ მათში მაჰმადის სჯული.

ხოლო აჭარლები იყვენ, არიან და უნდა დარჩენ ქართველებათ და ჩვენ ყოველის ღონით ვეცდებით, განვამტკიცოთ მათში ქართველობის თვით-შეგნება.

ყოველივეს, რასაც ჩვენი საზოგადოება აკეთებს აჭარაში, მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით. აკეთებს; მას აზრათ არ მოსვლია, ქართველი მაჰმადიანები მაჰმადიანობას დააშოროს, ხოლო ყოველივეს, რასაც თურქთა საზოგადოება აკეთებს აჭარაში, იმ მიზნით აკეთებს რომ ჩვენს დიდ ეროვნულ მისწრაფებას წინ გადაეღობოს და აჭარლები გაათურქოს, აჭარაში ნიადაგი არ მოამაგრებიოს იმ შეგნებას, რომ აჭარლები ქართველები არიან.

ეს მიზანი რომ არა ჰქონდეს თურქთა საზოგადოებას, სხვაფრივ აუხსნელია, რისთვის სდაჭირდა მას აჭარაში თურქული სკოლები.

თუ თურქთა საზოგადოება გვეთანხმება, რომ აჭარლები ქართველები არიან, აჭარაში ალაგი უნდა ჰქონდეს მხოლოდ ქართულ სკოლებს რადგანაც ქართველი აჭარლები სარწმუნოებით თურქები არიან, აჭარის ქართულ სასწავლებელში თურქული ენა სავალდებულო უნდა იყოს და უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი.

ჩვენ აჭარაში არ ვაწარმოებთ არავითარ პოლიტიკას, არავის არაფერს არ ვართმევთ, მაგრამ არც ის გვინდა, რომ სხვამ წაგვართვას.

თურქთა საზოგადოება კი სწორედ პოლიტიკას აწარმოებს აჭრაში, „აჩიკ-სოზიც“ კვერს უკრავს ამგვარ პოლიტიკას და ჩვენ კი გვიკიჟინებს: პოლიტიკანებოო.

კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერებდაო.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი ფიქრები

შემოღამდება და ვარსკვლავები
ცაზე კენტ კენტად აენთებიან;
ჩაეძინება დაქანცულ სოფელს,
ერის ტკივილნიც მიყუჩდებიან.

მხოლოდ ფიქრები, ჩემი ფიქრები,
არ დასცხრებიან, არ ადგებიან,
მესტუმრებიან შუაღამისას,
გამაღვიძებენ, ამეშლებიან.

წამომაგდებენ სახეტიალოდ,
თან მხლებელივით გამომყვებიან,
დამატარებენ ტანჯულ სამშობლოს,
დამაღონებენ, დაღონდებიან.

დამძიმდებიან ქვეყნის ცრემლებით,
დაიღლებიან, დაოსდებიან,
მომაცილებენ ჩემს ყრუ ოთახში
და ჩემთან ერთად ატირდებიან.



# ოცნების სამეფოში

ლეგენდა პირველი

**ბრმა-მუნჯი**

1

დაიბადა ასული, რომელიც ორივ თვა-ლებით ბრმა და მუნჯი იყო,

თექსმეტი გაზაფხულის კარებზე რომ შეს-დგა, თვით გაზფხულს დაემგვანა, მაგრამ უქ-მი იყო მისთვის მისი გაზაფხულობა, რო-გორც თვით გაზაფხული...

—

ახალ გაზაფხულზე, როცა ქვეყანა იმოს-ირთვება, როცა სამყაროს მფლობელს სურს ისე მოირთოს, რომ ყველა აღტაცებაში მოიყ-ვანოს, ყველას თავი აქებიოს,— ამ რთვის დროს მხოლოდ ასული იგი იყო უნებო, იგი ვერ ადგენდა თვალყურს, მხოლოდ იგი არ აქებ-და სამყაროს მფლობელს და მის მორთულ ბუნებას...

—

როცა ქვეყანა მოირთო, ყველა აღტა-ცებით ქებას უთვლიდა:

მხიარულად აჟრიალდენ ჩიტები.

ბულბულმა გაჰკვნესა... შაშვმა დასტვინა.

მორთული გამოფრინდა პეპელა და ყვა-ვილებს თავს შემოევლო,

ვარდი კოპწიად აღელდა და ნამის საკო-ცნელად წითელი ტუჩები გადაშალა...

ყველანი დედამიწას ეკროდნენ, აქებ-დენ მის მომრთველს.

მხოლოდ ასული ვერ გრძნობდა ბუნების მშვენიერებას და უხმოდ იყო...

—

— რათ არ მაქებს ასული?— იკითხა მე-უფემ...

— ვერას ხედავს, მიუგეს: მან არ იცის გაზაფხული რა არის...

— წადით, აუხსენით; დაე მისმა ბაგემ გამოსთქვან ქება

და გაფრინდენ ანგელოზნი და დაუწყეს ახსნა გაზაფხულის სიმშვენიერის.

— რა ქენით? შეეკითხა მეუფე, როცა ანგელოზნი დაბრუნდენ.

— იგი, მეუფევ, მუნჯიც ყოფილა!

— მოახსენეს.

დაფიქრდა მეუფე და წარმოსთქვა:

— მაშინ აეხილოს თვალები, აედგას ენა, როცა მისი სიკვდილის დღე მოახლოვდეს. დაე, თვალხილული დასტკბესო ბუნების. და ქვეყანის მშვენიერებით, აქოს თვისი და მისი გამჩენი. მარა მით დაისაჯოს, რომ როგორც მა-ლე აეხილა თვალი, აედგა ენა, ისევ მალე დაე-ხუჭოს, დამუნჯდეს!!

2

გავიდა ხანი

ქვეყნად დიდი უბედურება დატრიალდა.

სისხლით მთა-ველი შეიღება.

ცეცხლით სოფელ-ქალაქი გადიბუგა.

მრავალი ხალხი გამოესალმა სიცოცხლეს..

მტრის იარაღი არავის ინდობდა...

მარტო დარჩა ასული ამ სოფელში, სა-და ცეცხლი და მახვილი მეფობდა...

საშინელი გრიალი ესმოდა... ვერ ხვდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა-კი რა იყო...

და როცა მტრის ტყვია მასაც მოხვდა, მაშინ აეხილა თვალები...

მოავლო იგი დამწვარ არე მარეს, დახოცილ გვამებს, სისხლით მორწყულ მინდორს და შეტორტმანდა...

რისხვა ამოსკდა გულიდგან...

ენა აედგა.

—

და მან დასწყევლა სამყარო, მისი მეუფე... მისი შემქნელი.

დასწყევლა და სული განუტევა...

—

როცა მისი აჩრდილი მეუფესთან გამოცხადდა, თვალ-შექმუხვნით შეხვდა მეუფე და ჰკითხა:

—

— რათ არ აქე სამყარო, როცა იგი მშვენიერიი იყო?!

მიუგო:

— განა მე მქონდა შეძლება მეხილა მისი მშვენიერება, მქონდა ენა მექო მისი შემქნელი?

— სტყუი! უპასუხა მეუფემ; განა შენ არ დასწყევლე ქვეყანა, არ შეაჩვენე მისი გამჩენი, მაშინ, როცა თვალხილული, ენა ადგმული იყავ?! შენ დამნაშავე ხარ.

—

მიუგო ასულმა:

— რათა მეუფევ, განა მე ვარ დამნაშავე, რომ მაშინ მომეცი მხედველობა, როცა ქვეყნად ჯოჯოხეთი მეფობდა, მაშინ ამიდგი ენა, როცა ქვეყნად ტანჯულთ კვნესა ისმოდა? მე მხოლოდ ეს ვიხილე და შევაჩვენე ამის ამტანი ქვეყანა, შევაჩვენნე მისი შემქნელი...

მე იმის მეტი არა, მინახავს რა არა მიგრძვრნია-რა და რაც ვიხილე—მშვენიერება არ იყო, ქებას ჩემი ბაგენი ვერ გამოსქვამდენ... დაფიქრდა მეუფე.

თვალი მოავლო სისხლით და ცეცხლით მოცულს ქვეყანას.

ცრემლები მოადგა თვალებზე და ასულს შუბლზე აკოცა...

[illegible]

# პარადოქსები

ჩვენ ვმართავთ სალიტერატურო საღამოს. მიიღე მონაწილეობა! უთხარი მე ერთ მწერალს. მან შებრალების თვალით გადმომხედა და მითხრა:

„ხელოვანი, რომელიც გამოდის სცენაზე საზოგადოების წინაშე მისი ტაშის ცემისა და ყვავილებისათვის—მეძავ ქალსა ჰგავს, თავის სილამაზეს რომ ფულზედა ყიდის. უკაცრავად მე ჯერ ასე არ დავცემულვარ..“.

—

—კრიტიკა,—მითხრა ჩემმა მეგობარმა: ეს მეშჩანური მანქანაა, შიგ რო ბამბას ჩადებენ და რამდენიმე ხნის შემდეგ სერთუკად გამოვა. კრიტიკაც ასე ღეჭავს პოეზიას და აწოდებს საზოგადოებას იმის და მიხედვით, სერთუკი სჭირდება მას თუ ფარჩის სამოსელი. ხალხსა და პოეტთა შორის არ უნდა იყოს შუამავალი საჭიროა. ის, ვინც პოეტს გაიგებს, არ საჭიროებს კრიტიკის წაკითხვას, და ვისაც კი პოეტი არ მოსწონს, არც მის გარჩევას წაიკითხავს...

—

„ვინ გაიგებს შენს სახელს, სახელს ვინ დაიჯერებსო,“—სთქვა ერთმა ჩვენმა პოეტმა. და მართლაც ვინ გაიგებს?.. და რომ მწერალი „გაიგონ“ უკეთესი არ იქნება თვით მან სთქვას თავის თავზე ის, რასაც ეგრედ წოდებული კრიტიკოსები ამბობენ? განა უკეთესი არ იქნება თვით მწერალმა გაარჩიოს და გადაუშალოს მკითხველს თავისი პოეზიის შინარსი? და არც ერთი პატიოსანი მწერალი კრიტიკოსი წერილს წინ არ დაურთავს თუ ავის წიგნს“—მეუბნებოდა ერთი ჩვენი პოჰემის წევრი—და მე მას თითქმის ვეთანხმებოდი.

—

„შენ ჰგმობ პრინციპს„ ხელოვნება ხელოვნებისთვისო“—მწერდა ერთი შორს გადახვეწილი მეგობარი. მე კი ვერ გეთანხმები, ვერ ვეთანხმები იმიტომ, რომ ხელოვნებას არა დარჩენია-რა იმის გარდა, თუ თავის-თავს არ დაუბრუნდა. ხელოვნება ეხლა ვერ ატანს ადამაიანის საქელტყავს და გული კი მას ქონით აქვსგადაფარული. წაუკითხე მას „მერი“ „მე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამე,“ „ოქროს-ფეხი ან „წინა, წინ გასწით“ ის ერთი ხმოსავით აბლორინდება, ტაშისცემით ხელთაამანებს დაითხეთქავს ცოტა ხნის შემდეგ თავის ხასას ფეხებს დაარქმევს ოქროს ფეხებს პოეზია ხდება განწირულთა ხვედრათა „პოეზია ცხოვრებისთვის,“ —ამას მხოლოდ პოეზიის ხაბაზნი თუ იტყვიან.,.

# იდეალი

(ნადსონისა)

ნუღარ ამბობთ, რომ კაცის სიცოცხლე
სათამაშოა უაზრო ბედის,
ან ლამ სირეჯვნის ნადიმი არის
და შხამი ბრძოლის, გესლი ეჭვების.
არა, სიცოცხლე მისწრაფებაა,
სად გონებასთან განუყოფელი,
იმ მსოფლიოსკენ, სადაც აშუქებს
სინათლე აჩრდილ მიუდგომელი,
იმ მსოფლიოსკენ, სადაცა კაცსა.
ამა გვირგვინსა მთელი ქმნილების,
სამეფო ტახტზე დაბრძანებულსა
მთელი ქვეყანა ემორჩილების.
ძირს აღმართულსა ბრბოისა ხელით
ვხედავ წუთიერ კერპებად-ხმორებს,
ოქროს მკერდიან ზიზილ-პიპილით
რომ მიიზვიდენ ადამიანებს.
ამ იდეალის აჩრდილისათვის
ბევრი მებრძოლი დაღუპულია,
და ზიზღის ღირსი კერპებისათვის
დიდძალი სისხლი დანთხეულია.
გადის დრო, და თვით ადამიანნი
სიმაღლიდამ მათ ძირს ანარცხებენ
და, აღსავსენი ახალ ოცნებით,
ახლა სხვა კერპებს გაალმერთებენ.
მაგრამ დიადი ადამიანის
კერპი, ბრბოს ბჭობას განშორებული,
სდგას იმ თავითვე სულიერისა
სილამაზითა განშუქებული.
და ის ვინაცა ზემფრენი აზრით
განშორდა ბრბოის ჩვეულებრივ კვალს,
სიყვარულისა მძლევ სხივს ფასს დასდებს
და კაცის გულის წმინდა იდეალს.
ის ქვას მიაგდებს დროებითს კერპებს,
მათს მხიბლავ ბრწყინავს ზედ დააფურთხებს
და კაცის ამა იდეალისკენ
დაბეჯითებით ფეხს გაუჩქარებს.

ი. ფერაძე

# სახელმძღვანელოები

## ქართული ლიტერატურისა და ისტორიისა

ქართული ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება თავიდანავე შემოღებულია ქართულ გიმნაზიებში, მთავრობის საშუალო და დაბალ სასწავლებლებში კი ეს სამი-ოთხი წელიწადია ვითომ შემოიღეს და შეიტანეს პროგრამაში ამ საგნების სწავლება, მაგრამ, რადგანაც ჯერჯერობით არა სავალდებულო ითვლება ამ საგნების სწავლა, ამიტომ ხალისით არ ეკიდებიან მოსწავლენი. ამის გარდა, ამ საგნების შეუთვისებლობის ხელს უწყობს კიდევ ის გარემოება, რომ ნაკლებად მოგვეპოვება ისეთი წიგნები, რომლებიც სახელმძღვანელოთ გამოადგება მოსწავლეთათვის. ლიტერატურიდან მეტად საჭიროა, როგორც ძველი, მე 12 საუკუნიდან დაწყებული, ისე მე-19 საუკუნის მწერალთა ცხოვრებისა და ნაწერების მიმოხილვა გამოცემულ იქნას წიგნაკებად. ასეთი სახელმძღვანელოები სამსახურს გაუწევენ არა მარტო მოსწავლეებსა არამედ იმ მასწავლებლებსაც რომელთაც სპეციალური განათლება არ მიუღიათ ამ საგნებში.

ამ ორიოდე წლის წინად პატივცემულმა სილოვან ხუნდაძემ შეადგინა და დაბეჭდა ერთი ასეთი წიგნაკი № 1, რომელშიც მოთავსებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და ნაწერების მიმოხილვა; კარგი იქნება, თუ გააგრძელებს თავის შრომას და შემდეგ სახელმძღვანელო წიგნაკებსაც გამოცემას.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოდ კარგი იქნება ბ-ნი ს გორგაძი წიგნი, როგორც შემოკლებული და დამთავრებული კურსით, და გასაგები ენით დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ. ჯერ კიდევ პირველი ნაწილის მეტი არ დაბეჭდილა; ამ პირველ წიგნში მოთავსებულია უძველესი და ძველი ისტორია, საშუალო და ახალი ისტორია მოთავსებული იქნება მეორეცა და მესამე ნაწილები, მაგრამ როდის დაიბეჭდება შემდეგი წიგნები, არ ვიცით. მეტად საჭიროა, პატივცემული ავტორი ამ ნაწილების დაბეჭდვას დროზე მოახერხებდეს.

სასურველია, ჩვენი ისტორიკოსები და ქართული ლიტერატურის მცოდნენი ასეთი სახელმძღვანელოების შემუშავება-შედგენაში მონაწილეობას მიიღებდენ.

ლადო ბზვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წრვთნა სულისა

II

**დიმატრი ყიფიანის** ხელნაწერებიდან გამოკრეფილი **ნინო ყიფიანის მიერ**

როდესაც დიმიტრი ყიფიანი 1832 წ. ამბოხების გამო ქ. ვოლოგდაში გაგზავნეს ის იქ გუბერნიის სამართველოში მდივნის თანაშემწედ მიიწვიეს.

რამდენიმე ხნის სამსახურის შემდეგ, გუბერნატორმა ამ ხარისხიდან ერთბაშად თავისი კანცელარიის მართველად დანიშნა. დამტკიცება ამ თანამდებობაზე გუბერნატორზევე ყოფილა დამოკიდებული, მაგრამ ამ დროს გუბერნატორ კუზმანს თურმე ვიღასიც რჩევით დასამტკიცებლად სამინისტროსათვის მიემართნა.

„იქ, რასაკვირველია, გამოეკიდნენ საკითხს,— მოგვითხრობს დიმიტრი ყიფიანი— თუ რა მიზეზია, რომ სამინისტროსაგან ელიან ნებას მაშინ, როდესაც ეს ჩვენ არ შეგვეხებათ და გუბერნატორს უარი შემოუთვალეს.

და დამაბრუნეს მონა ღვთისა უკანვე საგუბერნიო სამართველოში.

ამის გამო სამს უფროსთა განში, ორი მათგანი, რამდენადაც მეტის თანაგრძნობით მეპყრობოდა, იმდენად მესამემ ყოყოჩობა დაიწყო. ეს გახლდათ იაგ. ივ. ნეპენინი.

ის გულ-მოსული იყო ჩემზე, რომ ერთხელ გუბერნატორისაგან მოხვდა მას ერთ რამეზე.

რამდენიმე ხნის შემდეგ კუზმინი დაითხოვეს ვოლოგდაში და გენერალი ბოლგოვსკი დანიშნეს სამხედრო გუბერნატორად. ჩემი ისტორია, ეტყობოდა, მაშინათვე უამბეს რადგან თავიდანვე გამამხნევებელ ყურადღებას მაქცევდა.

მაგრამ—ერთხელ მიბარებს თავისთან და ასეთი სიტყვებით მიხვდება:

— ესეთები ხართ აი, ყველა ახალგაზრდა, ერთი გოჯის თავისუფლება რომ მოგცეთ კაცმა, თქვენ ერთ ათზე ხტებით!

ვუცქერი მას გაშტერებული და არაფერი არა გამეგებდარა.

— ნეტა რა უმანკო კრავივით მომჩერებიხართ? თქვენ არ იყავი რომ გუბერნიის მართველობის სოვეტნიკს უზრდელათ მოექეცით?

ამ სიტყვამ გულზე ცეცხლი წამიკიდა.

— ნება მიბოძეთ თქვენს აღმატებულებას მოვახსენო, რომ მე ქართველი ვარ, ხოლო ქართველს-კი შეგიძლიანთ ყველაფერი მოახვიოთ თავზე, უზრდელობა-კი არა!

— მაშ ნეპენინმა რად იჩივლა ჩემთან გუშინ, რომ თქვენ იმას სალამი არ მიეცით?

— ეგ თუ მართლა მომივიდა, მერწმუნეთ, თქვენო აღ·ბავ, რომ განზრახ არ ჩავიდენდი!

—კარგი მაგრამ იმან შემომჩივლა და მე აღვუთქვი, რომ ბოდიში მოიხადოთ. და თქვენც ასე მოიქცევით,—ჩემი გულისათვის მოიქეცით.

—შემიძლიან აგრეც მოვიქცე, მხოლოდ თქვენი ბრძანების ასასრულებლად-კი.

— კარგი! კარგი!

მიველი ნეპენინთან.

— ვასრულებ-რა გუბერნატორის ბრძანებას, ბოდიშს ვიხდი თქვენთან მხოლოდ გამოგიტეხდებით, რომ არ მესმის-კი რისთვისა?

ჰო! არა არაფერი! — [illegible] ახლა

ამის შემდეგ რამდენიმე დღე იმაზე ლაპარაკობდნენ ვოლოგდაში, თუ როგორ ხდილობდნენ ქართველები ბოდიშს.

ასე მისცეს ეროვნული ხასიათი ინდივიდუალურსა.

ნინო ყიფიანი



**მსახიობი— ჯარის-კაცი ი. ჟივიძე**

თითქმის წელიწადია სამსახურშია გაწვეული და არ ივიწყებს იქაც-კი თავის წმინდა საქმეს, სცენას, გასულ ზაფხულს მისი ხელმძღვანელობით ბორჯომში იმართებოდა წარმოდგენები. სადაც უნდა გადაიყვანონ, იგი მხნედ ჰკრებს სცენის მოყვარეთ და წარმოდგენებს მართავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობა



ი ა. ბარათაშვილი
თავმჯდომარე



ნ. დ. ერისთავი
თავმ. ამხანაგი



ი. ქ. გედევანიშვილი
ხაზინადარი



შ. ა. მიქელაძე
(წევრი)

ამათ გარდა არჩეულია არ. ჭუმბაძე (მდივნად) და სოლ. ახვლედიანი (ამათი კლიშეები ვერ მოვიძიეთ). გ. ბ. გვაზავამა და ნ. გ. ქართველიშვილმა გამგეობის წევრობაზე უარი სთქვეს.

## მოკლე იყო ზღაპარი

ეტიუდი.

მომწყინდება, ცხენს შემოვახტები, ცხენსა გრძნეულსა. მიმაფრენს, ღრუბლებსა სწვდება, სუნთქავს, აფრქვევს ცეცხლსა, მიწას ეკარება, ერთის დედამიწა. მაინც არ ეხსნება გულსა წუხილი.

ბავშვობასკი ჯოხი იყო ჩემი ცხენი, მაგრამ მაინც ვსიამოვნობდი.

მომწყინდება, დიდს საზოგადოებაში ამოვყობ თავსა. მოვისმენ ახალ აზრსა, მეც ჩავურთავ ჩემსას. მოლექსე შაირს იტყვის ახალსა საარშიყოსა. მუსიკოსი სონეტს დაუკრავს, კოხტად მოწყობილსა. ტყუილია: მოწყენილი ვიყავი, მოწყენილი დავრჩი.

ბავშვობას კი მე ერთი შევადგენდი მთელ საზოგადოებას. ჩემს თავს ველაპარაკებოდი ხან ერთს ხმით, ხან მეორითა; „დაბრძანდით, გეთაყვა!“ — ვიტყოდი მე და მევე უპასუხებდი ჩემს თავს: „ბრძანდებოდეთ, ნუ სწუხდებით!“

მარტო ვიყავ და მაინც ვერთობოდი.

ეჰ! მოკლე იყო ზღაპარი!

ივნისის 8-ს 1916 წ.
ქ. ბლაგოვეშჩენსკი.

*
*

ექვით მიყურებ? შენი ნებაა—
არ მაქვს უფლება, რომ გაგიჯავრდე;
მხოლოდ ბედს მინდა ვუსაყვედურო,
ვუთხრა: კაცთ შორის მე რისთვის ჩამრთე,
ხალხი ჭრელია და მეც მათში ვარ
ვით ბუზი ბუზებს, მე იმათ ვგევარ,
ვცოცხლობთ ყველანი, მიწაზე დავალთ,
მოვკვდებით ყველა მიწაში ჩავალთ.

მ. ველისციხელი



ინჟ. კონ. იოს. ძნელაძე

ხაშურის დრამატიული წრის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული (მეოთხედ), რომელიც თავგამოდებით მუშაობს ხაშურის თეატრის საკეთილდღეოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსე მწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული გრ. საქარიქედელის მიერ

დასასრული იხ. 1917 წ „თ. და ც." №№ 49—52 და 1917წ. 1-4

## მოქმედება მეოთხე

(სცენა: ღარიბულად მორთული ქოხი: ძველ ლოგინში ძონძებში წევს ავადმყოფი შვილი სოფონასი. მის ახლო ზის თებრო)

### I

**თებრო** (მწარედ სასოწარკვეთილი) ღმერთო, ჩემო გამჩენო, შენ მოკითხე ცოდვა ვინც მე გამაუბედურა, ვინც მე ამ დღეში ჩამაგდო. რა ვქნა ვის მივმართო... ყველას თავი მოვაბეზრე .. ღმერთმა უშველოს მარიკოს ნინას, გუშინ იმას გამოუგზავნა სამი ქადის ფქვილი... ხვალისთვის ქადი აღარ გვექნება. მე სასიკვდილო რას დავეძებ ჩემ თავს, მაგრამ შვილი მიკვდება, შვილი·.. უწამლო.. მშიერი (მოისმის ავადმყოფის კვნესა.. მიუახლოვდება) ნუ გეშინია, შვილო, ხვალ ბაბა მოვა და მოგარჩენს.. კაკებს მოგიტანს, დაიძინე შვილო, დაიძინე... (შემოდის მატათი ხელში უჭირავს სალფეტკში გახვეული ფქვილი).

### II

**მატათი.** დილა მშვიდობის თებრო, ბალანა როგორ არის?

**თებ.** (ტირილით მიეგებება) ისე იქნა ჩვენი ოჯახის დამღუპველი და შენი მტერი, როგორც ეს არის.

**მატ.** (მივა ბავშვთან) ნუ გეშინია თებრო, ღვთის მადლით მორჩება, კარგად გახდება. (შუბლზე ხელს ადებს ბავშვს) ალბად აციევს.. ქალო, მიდი ჩვენ პროვიზორთან, გამოართვი პატარა ხინა და დაალევინე ამ ბალანას. ძალიან გულ-კეთილი კაცია, უფულოდ მოგცემს.

**თებ.** არა ჩემო მატათი. ველარავის ვთხოვ,.. ყველა მეხმარებოდა, ყველა ხელს მიმართავდა... ყველას გაუჭირე საქმე.. მე გაჭირვებულმა, ქვრივმა. (სტირის).

**მატ.** ქალო, რამ დაგაქვრივა, რათ სცოდავ ღმერთს, განა ციმბირში სხვა არავინ გაუგზავნიათ, რომ ისევ დაბრუნებულა. მოსიკელას ბიჭი შვიდი წელიწადი იყო იქ და გასუქებული მოვიდა. ფულიც ბევრი ჩამოიტანა. 5 წელიწადი ისე გაივლის, რომ ვერცკი გაიგებ... დღეს კიდე კანცელარიაზე ამობდნენ მანიფესტს გამოსცემს ხელმწიფე და ყველა განთავისუფლდებაო. ნუ გეშინია თებრო, სოფონაც დაგიბრუნდება, ბაბალეც და ოქრუაც.

**თებ.** (ტირილით) არა, ჩემო მატათი, მე იმათი დაბრუნების იმედი აღარ მაქვს.

**მატ** (ფქვილს აძლევს) ორი ქადი მაინც გამოგივა. მეტი უნდა მომეტანა, მაგრამ რა ვქნა, ხომ იცი, რამდენი სული ვართ სარჩენი იმ ბებერი კაცის ამარა

**თებ.** გმადლობთ, შენი ჭირიმე, შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა. (პაუზა)

**მატ.** დღეს საწყალი მღვდელ ათანასის ცოლი იყო ეკლესიაზე და სამჯერ შემოუარა ეკლესიას ჩოქით, ღმერთო დამიბრუნე ჩემი ათანასეო, ღმერთო სამაგიერო მოსთხოვე ჩემ დამღუპველსო. საწყალი სულ სტიროდა.. ხალხი დაიწყო მის საცოდავობით. (პაუზა).

**თებ.** (ტირილით) მე ის უფრო მიკლავს გულს, ჩემო მატათი, რომ საწყალი მღვდელი ჩვენი გულისთვის დაიტანჯა (პაუზა).

**მატ.** თებრო, დღეს ყველა ლაპარაკობდა ეკლესიაზე, რომ ბაგრატ ქერაძემ დაღუპა უნათლოშვილის ოჯახიო იმან შეიტანა „დანოსიო"- იმას მოკითხოს ღმერთმა.

**თებ.** მე ვიცი შენი ჭირიმე.. იმან დაიდვა ჩემი ცოდვა... იმან გამომჭრა ყელი... იმან დაიდო საწყალი ჩემი შვილების ცოდვა... იმან დამაგდო ღვთის ამარა იმას დაედო თავის ცოლ-შვილი უსულო.

**მატ.** მოსე მწერალიც ძალიან კუჭობს ბაგრატაზე. მგონი არძაც მიუცია. (სიჩუმე) მშვიდობით თებრო, მეჩქარება. ბალანას ხინა მოუტანე (გადის პაუზა).

**თებ.** ეხლა შემოდგომაა... ყველა წლის სარჩოს ინახავს... ჩვენი-კი ყველაფერი გაპარტახებულია. ამ ზამთარში ვინ არის ჩემი შემხვედარი... ჩემი მომხმარი... (აძაგძაგებს.) ღმერთო დღეს კიდე გამაცივა .. ჰვ. ჰვ.. ჰვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავო, თავო. (მივა და ისიც შვილის ახლო წამოწვება) (შემოდის მღვდლის ცოლი მარინე).

II

იგინივე და **მარინე**

**მარ.** როგორა ხარ თებრო, ბალანა როგორ არის?

**თებ.** (ნახევრად წამოდგება და სიხარულით შეხედავს მარინეს) მობძანდი შენი ჭირიმე! (კვნესით) ისე იქმნა უნათლოშვილების და მამა ათანასეს დამღუპველი, როგორც მე ვარ... ბალანაი როდის მომიკვდება არ ვიცი, მე კი არ ამომდის ეს გაჭირვებული სული. (კვნესის) ეს ოხერი სიკვდილიც არ გაიმეტა ჩემთვის ღმერთმა.

**მარ.** ნუ შვილო, ნუ, ღმერთს ნუ ცოდებ, ყველაფერი ღვთის საქმეა. ალბად ასე უნდოდა ჩვენი დატანჯვა ღმერთს... (ტირილით) ალბად შევცოდეთ ღმერთს... ალბად ჩემი ათანასე ცოდვილი იყო, ალბად აწყენინა ღმერთს! (მაღლა აიშვერს ხელს) ღმერთო, ნუ დაუკარგავ სიმართლეს, ღმერთო მაჩვენე მისი თავი. (პაუზა) აღრაფერი წერილი მიგიღია იმ საცოდავისაგან.

**თებ.** საცოდავი ნენა ქკუაზე შეიშალაო, რომ იწერებოდა სოფონა, იმის შემდეგ აღარ მიმიღია წერილი.

**მარ.** სოფონამ ხომ მაინც იცის წერა, რატო ხშირად არ იწერება წერილს.

**თებ.** (კვნესის) წერის ნებას ვინ მისცემს შენი ჭირიმე. (პაუზა)

**მარ.** შენ კიდევ გაგაცივა დღეს?..

**თებ.** გამაცივა შენი ჭირიმე, გამაცივა. ჩემ თავს რას დავეძებ. მე იმას ვწუხვარ, რომ ამა ათანასე ჩვენი გულისთვის დაიღუპა... უდანაშაულო, მართალი ადამიანი.

**მარ.** თქვენი რა ბრალია, თქვენ რა იცოდით, თუ ის უკუღმართი მწერალი ყველას ასე მოგვატყუებდა, ჩაგვყრიდა წყალში... (ტირის).

III

იგინივე და **ნაცვალი.**

(შემოდის ნაცვალი).

**ნაცვ**. თქვენზე ექვსი აბაზი და სამი კაპეიკია მწერლისა და საუჩიტლო ფული. ყოველ დღე ხომ არ ვივლი. მომეცით. დღეს თქვენი გულიზა მე გამლანძღა მამასახლისმა. მე ხომ არ გადავიხდი თქვენ მაგიერ. მომეცით, თორემ გირაო უნდა წავიღო. (ათვალიერებს)

**მარ.** თქვენ ღმერთი არა გწამთ? რა უნდა მოგცეთ საწყალმა, გაჭივრებულმა ქალმა. შიმშილით სული ამოდის. ექვსი აბაზი კი არა, ორი შაური არა აქვს, რომ ხინა იყიდოს, ბალანა ხელზე უკვდება, ღმერთი აღარ არის, სარწმუნოება!..

**ნაცვ.** რა ვქნათ ქალბატონო, ეს ფული ხომ ჩვენ ჯიბეში არ ჩადის. ჩვენ, როგორც გვიბძანებენ, ისე უნდა მოვიქცეთ... მე მიბძანა მამასახლისმა გირაო წამოიღეო და უნდა წავიღო.

**მარ**. აბა, რა აქვს რომ წაიღებო.

**ნაცვ**. აი ეს საბანი უნდა წავიღო! (ხელს წაატანს საბანს)

**თებ.** (ხელს წაავლებს საბანს, ბავშვი იტირებს) გამშორდი, გამცილდი ვერ მოგცემთ, არაფერი მაქვს.

**ნაცვ.** (გადის დარცხვენილი) რა ვქნა, მე მიბძანეს.

**მარ.** მაგათ ღმერთი სწამთ, ერთი შვილი შიმშილით მოუკვდა, მეორე ავადა ჰყავს და ეგენი კიდე სამწერლოს და „საუჩიტლო" ფულს სთხოვენ. ეს არის სამართალი... თფუი ამისთანა სამართალს...

**თებ.** სამართალი ქვეყანაზე არ ყოფილა ჩვენო ქალბატონო...

**მარ.** მშვიდობით თებრო, საღამოს ხინას ვიყიდი და გამოგიგზავნი. შენც დალიე და ბაჩლანასაც დაალევინე.. თუ რამე ამბავი მოგივიდეს იმ საცოდავებისგან, მეც მალე გამაგებინე. (გადის)

(თებრო კვნესის, ცოტა ხნის შემდეგ ტუსაღის ტანისამოსში შემოვარდება ოქრუა).

IV

იგინივე და **ოქრუა ტუსაღი**

**თებ.** (შეკივლებს) ოქრუა შენა ხარ, შენა. (მოეხვევა) მანიფესტი იყო, გაგანთავისუფლეს? სად არის სოფონა, ნენა? მართალი მითხრა მატათიმ მანიფესტი იქნებაო. (კოცნის ოქრუას)

**ოქრ.** (აქეთ-იქით იხედება. თვალები კარებისკენ უჭირავს, ეშინიან. ჩქარა დაბნეულად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაკობს) მანიფესტი?.. არა, მანიფესტი არა... მე გამოვიქეცი... სალდათებს გამოვეპარე... ნენა გადირია, მამა ათანასე გზაში გარდაიცვალა.

**თებ.** (შეკივლებს) სოფონა, სოფონას რაღა დაემართა?

**ოქრ.** (დაბნეულად) სოფონა... სოფონა ერთი თვეა მიიცვალა.

**თებ.** (იკივლებს. თმაში წაივლებს ხელებს. ბავშვი ტირის) მოკვდა?..

(ცოტა ხნის შემდეგ ისმის ხმა: დაგვრჩი, ოქრუა უნათლოშვილო.)

(ორი ჩაფარი შემოვარდება. ოქრუა რევოლვერს ამოიღებს და გაქცევას აპირებს. ატყდება სროლა. ერთი ტყვია მოხვდება ოქრუას და დაეცემა).

**თებ.** (იკივლებს და მოეხვევა მკვდარ ოქრუას).

**ფ ა რ დ ა.**

**გრ. საქარიქედელი.**

# მკითხველთა წერილები

## დაგვიანებული ხმა

ბევრჯერ აუტოკებია ჩემი გული კარგს მთქმელს, მაგრამ თუ დროსა და ადგილს არ მოუცია საშუალება კერძოდ დაპარაკში გამომეთქვა ჩემი აზრი და გულის ნადები, ჩემსავე გულში ჩამიკლავს, რადგან ხელს არ მიწყობს ის სიმაღლე, რომელიც საჭიროა კალმის ხელში აღებისა ან საჯაროდ გამოსვლისათვის, მაგრამ თუ მე დღეს მაინც გავბედე წერილობით მისალმება ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში № 51 მოთავსებულ წერილ „სადღეისო“-სი, ამის მიზეზი ის გახლავთ, რო მე ძალიან დაშორებული ვარ საქართველოს და მაშასადამე ქართველ საზოგადოებას.

ბაქოზე კიდევ უფრო შორს ერთ მიყრუებულ თათრის სოფელში, მოკლებული ქართველი დემოკრატიის აზრთა გაცვლა-გამოცვლას, იძულებული გახდი ჩემთვის არა ჩვეულ კალმისათვის მომეკიდა ხელი, რომ დამეკმაყოფილებინა ჩემი გულისა და გრძნობის დაჟინებული მოთხოვნილება,

ზემოდ ხსენებული წერილი მოითხოვს ყველა პარტიებისაგან დათმობას ეროვნული სარგებლიანობისთვის და თუ პარტიები ამას არ მოინდომებენ, დემოკრატიისაგან მოითხოვს ხმის ამაღლებას, ეროვნული თავისუფლებისთვის გამოსარჩლებას. მეც, როგორც კანონიერი შვილი ქართველი დემოკრატიისა, გადაჭრით მოვითხოვ, რომ შესაფერ დროს შესაფერად შევხვდეთ. წამიერ დაკარგულ დროს საუკუნოებით ვერ დავიბრუნებთ და ეს კი საუკუნო წყევლა-კრულვის ღირსად გაგვხდის ჩვენი ჩამომავლობისაგან.

ჩემი გულის ძლიერი ცემა იმან უფრო გააძლიერა, რომ წერილ „სადღეისო“ ს ავტორი ნამდვილი მოქალაქური გამბედაობით გამოდის და პირდაპირ მოითხოვს პირდაპირობას, სიმტკიცეს, ღირსეულობას, შეუპოვრობას და სიამაყეს.

დიახ! სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. თუ ასე მოვიქცევით, უცილობლად მივიღებთ მას, რასაც მოვითხოვთ, ოღონდ ადგილი არ უნდა ჰქონდეს „არ ვიცი“-ს, როგორც ეს ხდებოდა წასულ მოძრაობის დროს: თუ რამეს ვითხოვდით, მხოლოდ მაშინ, როცა ერთად შევიკრიბებოდით, რომელიც ფეხის ხმის აყოლა უფრო იყო ვიდრე მოთხოვნა; თუ ცალცალკე შეგვეკითხებოდენ „რა გინდათო“, ყველას პირზედ გვეკერა: „რაც სალხს უნდა ის ჩვენ გვინდა“ და სხ. ეს არ უნდა განმეორდეს ჩვენს სამართლიან მოთხოვნის დროს. ერთად თუნდ ცალ-ცალკე ყველას უნდა პირზედ გვეკეროს ჩვენი ეროვნული თავისუფლება. ეს მოთხოვნა არ არის კანონის დარღვევა. პირ იქით ეს არის დარღვეული კანონის აღდგენა.

მაშასადამე ყოველგვარი მიხვევ მოხვევა და არა პირდაპირობა ჩვენი ღირსების დამამცირებელია და საქმის გამჭიანურებელი,

ჩვენთვის, დემოკრატიისთვის აუცილებელია საქართველოს თვითმართველობის (ავტონომია) აღდგენა. ვინც ამის წინაღმდეგია, ის მოღალატეა და მტერი მშვიდობიანობისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგებრობის გასაგებად საჭიროა პირდაპირობა

ჩვენის აუცილებელს შინაურ უთანხმოებას ჩვენგვე შინ გავასწორებთ და არამც და არამც დრო ხელიდან არ უნდა გაგვისხლტეს თუ არ გვინდა უკუნისამდე შეგინებული იქმნეს ჩვენი კუბოს ფიცარი. გვეყო ამდენხანს სიბნელეში ყოფნა, ჩვენგანვე გარედ გატანილი სანთელი შემოვიტანოთ შინვე დრო გადამწყვეტ პასუხს მოითხოვს ყოყმანის დრო არ არის. როგორც კერძოდ მუშებმა, ისე მთელმა დემოკრატიამ უნდა ჩახედოს თავის გულის სიღრმეს და მკაფიოთ და გაბედულად გამოსთქვას თავის გულის ნადები, არ არის საჭირო არც მეცნიერება არც ფილოსოფოსობა და არც ღრმა და ლამაზი სიტყვები, მოკლედ და გასაგებად დავიძახოთ, რომ ჩვენ გვინდ ეროვნული არსებობა, ამისათვის კი საჭიროა უფლება.

რუსეთის მთავრობა ჩვენს ერთგულებაში ეჭვს ვერას დროს ვერ შემოიტანდა, მაგრამ დღეს ჩვენი მეომრების სულიერის თუ ფიზიკურის გმირობით გაკვირვებულა ყველა, იმათი გმირობა გვიმტკიცებს, რომ არ ვყოფილვართ ხიცოცხლეს მოკლებულნი, მაშ ნურც ქედ-წახრილნი და გულუბრყვილონი ვიქნებით, ერთ ხმათ მოვითხოვოთ აღდგენა აწ დარღვეული

პირობისა და მაშინ ნახონ „რა ლომებს ზრდის ქართლის ბუდე.“

ომის დაწყებისას პოლონელებს დაჰპირდენ ავტონომიას, სხვა ერებს კი კეთილ-განწყობილებას, მხოლოდ არ გვიხსნიან რა სიგრძესიგანისაა ეს „კეთილგანწყობილება.“

ან იქნება ყოვლად სამღვდელო „პითირიმის ქართულ წირვა-ლოცვაში?

ესეც უნდა მკაფიოთ გავაგებინოთ რუსეთს და მანაც უნდა შეისმინოს ეხლა, თუ ასი წლის განმავლობაში ვერ დარწმუნდნენ, რომ ჩვენ ეს მოთხვნა მტრობითა და რუსეთის სიძულვილით არ მოგვდის, არამედ იმისთვის, რომ ჩვენ გვინდა რუსეთისათვის უფრო სასარგებლო და გამოსადეგნი ვიქნეთ და ჩვენც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ „კაცთა შორის კაცად ვიყოთ ცნობილნი“, ჩვენს მინდორ ველებზედ ჯერ კურტან ქვეშ მოკაკული რაჭველი პოულობდეს ბინას შირაქის ველზედ თუშ-ფშავ-ხევსური (რომელმაც ხელი აიღო დაცოლშვილიანებაზე და გამრავლებაზედ უმიწოობისა გამო) უნდა სახლდებოდეს, აგრედვე მეგრელ გურულნი, რომელნიც ულუკმა პურობისა გამო საკუთარ კერასა სტოვებენ და ვინ იცის სად იხვეწებიან, და მერე, თუ რამე დარჩება, ჩვენ მუდამ ვიყავით, პურადობით განთქმული და იმედია, არც ამას იქით გაწუნწდება ქართველი ისე, რომ სხვისი გაჭირება და სივიწროვე არად ჩააგდოს.

ჩვენს ხქოლებში ჩვენი ახალი თაობა [illegible] თავის ძალას ხარჯავს რამდენიმე წელიწადს, ქართულს ივიწყებს რუსულს ვერა სწავლობს და ბრუნდებიან შინ დამახინჯებული მოწმობით ხელში, ვითომდა ორი თუ ოთხი კლასი დაუმთავრებიათ.

ჩვენს ეკლესიაში მორწმუნე ქართველს შესვლა ეზარება და არც შედის სალოცავად

აი სწორედ ამ 120 წლის ყოველმხრივმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ თუ ერს თავისი ბედი თვითონვე არ უ ურია ხელში, ვერას დროს იგი ეროვნულად მოსვენებული ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება,

მაშ შეუპოვარი ხმა ერისა -- და ხმადვთიის საც ჩვენთან იქნება!

**გიორგი კვიკვიძე**

—

**წ. ქ.** ეს წერილი კარგა ხანია მზადა მაქვს, მაგრამ განვგებ აღარ მინდოდა გამოგზავნა, რა დგან იმედი მქონდა თბილისიდან და საზღვა-დოდ საქართველოდან მრავალ მედგარ ხმას გავიგონებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერც ერთ გაზეთში ვერ შევხვდი წერილ „სადღეისო“ ს შესაფერ გამოხმაურებას. ნეტავი რას უცდიან გაზეთები? რატომ მიხვეულ-მოხვეულად და არა პირდაპირ გამოსთქვამენ თავის აზრსა? გ. კ-ძე.



**„ახალ კლუბში“** იანვრის 6 ქართ. გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ კნ. ე. ი. აფხაზის დიასახლისობითა და თავ. მ. დ. ჭავჭავაძის გამგეობით გაიმართვა მრავალ-ფეროვანი ტრადიციული სალამო, რასაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. განსაკუთრებით აღტაცება გამოიწვია ილ. ჭავჭავაძის „დედა და შვილმა“, რომელიც თავ. მ. დ. ჭავჭავაძის-მიერ გაფართოვებულ-შევსებულია ორი სურათით. დამატებულ სცენებში გამოყვანილია ქართველი ლაშქრის ბანაკი, ქართული ცეკვა, სიმღერები და სიზმარი, რომელშიც მაყურებელთ წარმოუდგებიან ჩვენი ისტორიული ცნობილი პირნი წმ. ნინო, თამარ-მეფე, ქეთევან დედოფალი, გ. სააკაძე, პატარა კახი და სხ. (ასახიერებდენ: თავ. მაჩაბლის ასული, ფორაქაშვილის ასული, ან. ქიქოძე, ივ. გ. მაჩაბელი, ჯანდიერი და სხ ) ამ სურათებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, და როგორც გავიგეთ მეორედ აპირებენ მის დადგმას უფრო ვრცლად. მეორე და მესამე განყოფილებებმაც ევროპიული დაკვრა-სიმღერამ და სხ. სავსებით დააკმაყოფილა დამსწრენი, დასასრულ ი. ზარდალიშვილმა დასდგა ი. გედევანიშვილის „სინათლის„ ბოლო სურათი „დიდება სამშობლოს“. წმინდა შემოსავალი ექვსას თუმნამდეა. დიდი მადლობის ღირსნი არიან როგორც სალამოს დიასახლისი კნ. ე. ა, აფხაზისა და გამგე-თავ. მ. დ. ჭავჭავაძე, აგრეთვე დამსწრე საზ-ბა, რომ ამ სალამოს ასეთი ყურადღებით მიექცა. გარეშე.

## წვრილი ამბები

**სად. გურჯაანის თეატრის** ასაშენებლად კახეთის რკინის გზის მოსამსახურეთა თაოსნობით ფული იკრიბება. ყველა ხალისით სწირავს თავის წვლილს. როგორც გადმოგვცეს კახ. რკ. გზის სამართველოსაც დახმარება აღუთქვამს.

**ბაქოს** საგაზაფხულო სეზონისთვის რეჟისორად იწვევენ, ა. რ. წუწუნავას.

**ელო ანდრონიკაშვილის** ბენეფისი ბ ქოსი გაიმართება იანვრის ბოლოს.

**ბაქოს დრამ. წრის** საზამთრო სეზონი გ-

თავდება ოებერვლის შუა რიცხვებში. ამ ხანებში გაიმართება შალვა დადიანის ბენეფისი, ხოლო ა. წუწუნავასი ცოტა ადრე.

**ბათომის დრამ. წრის** გამგეობის თავჯდომარედ არჩეულ იქმნა სოსიკო მდივანი.

**ჰაიდარბეგ აბაშიძეს,** ცნობილ საზოგადო მოღვაწეს კომენდატმა ბათომში ცხოვრება აღუკრძალა.

**შეცდომის გასწორება.** იპო ჯინორიძის ლექსში (რომელიც ჩვენი ჟურნალის მეოთხე ნომერში დაბეჭდილი) შემდეგი კორექტული შეცდომები შეგვეპარა: „ნატრეფალი“, „ბულბლუსა“ და დნბოდენ.“ უნდა იყოს: „ნატერფალი“, „ბულბულსა“ და „დნებოდენ“.

**ვანო ხვ. მესხიევმა** ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ მთელის წლით გაუწერა თავისი ხარჯით: ნალჩიკის, თელავის, კავკავის, ალაგირის ქართულ სკოლებსა და არმავირის სამკითხველოს მაგიერ (რადგან აქ უკვე მისდით ჟურნალი) საგარეჯოს ქალთა საქსოვ სკოლას.

**ს. ხაშმის წერა-კითხვის** საზ-ის განყოფილება უკვე დამტკიცდა, დამფუძნებელ წევრთა კრება ამ მოკლე ხანში გაიმართება გამგეობის ასარჩევად და მოქმედების დასაწყებად

**„თეატრი და ცხოვრება** თავის ხარჯით გაუწერეს 1) ქ-მა დესპინე ქავთარაძემ ძველი სენაკის სამკითხველოს 2) შალვა ნიკოლაიშვილმა—ბელაგორის სამკითხველოს. 3) აკეთის სამკითხველოს დ. გოგუაძემ 4) ბორჯომის სამკითხველოს—ვ. ი. ქავთარაძემ.

**ახალი პიესას** (მ. ბოჭორიშვილისა) „ცნების ბრჭყალებში„ ბეჭდვა დაიწყება შემდეგ ნომერში.

**ვ. გუნიას** იუბილე გაიმართება მარტის 19.

**ხელის მომწერთ,** რომელიც ჟურნალისა ხვეღრი ფული არ შემოუტანიათ, შემდები ნომერი აღარ გაეგზავნება,

## „თეატრი და ცხოვრების“

**ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ:**

1) **გიორგი დიამონდოპულსაგან** (თბი.) 1, მ.
2) **ელ. პეტრ. კაჭარავასგან** (სოხუმი)—2 მ.
3) **ანა ათ. ფირცხალავასაგან**(ყარაიაზი) 2 მ

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით. რედ

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი** შედგენ. **იოსებ იმედაშვილის** მიერ, მეორედ შევსებულ-შესწორებული. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ღირს 2 მ. 50 კ. გაწერა კიდევ შეიძლება: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба“—Іос Имедашвили.

(10—3)

**სახალხო სახლი** შაბათს, 4 თებერვალს 1017 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე **ნიკო გოცირიძეს** 20 წლ. სახალხო სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს სადღესასწაულო საღამოს. წარმოდგენილი იქნება

1 **ტარტიუფი** III და IV გ. მოლიერისა

2 **მსხვერპლი** I მოქ. ი. გედევანიშვილისა

3) **ხანუმა** II მოქ. ა. ცაგარლისა

რეჟ კ. შათირიშვილი. დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 12 2 და 6-8 საათამდე.

**თანამედროვე აზრი**

გაზეთი ღირს როგორც თბილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან, სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან 40 კაპ.

**გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.** თბილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განამთლებაში“, ოლღას ქუჩა, № 6·

**„სახალხო ფურცელი“**

სურათებიან დამატებით ღირს წელიწადში 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მ.ნ.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად:**

ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 აპრილისათვის 4 მ. და 1 აგვისტოსთვის 4 მან. კანტორა ხელის მოწერისათვის ღია დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქციის მისამართი: ტფილისი, **„სახალხო ფურცლის“** რედაქცია, სასახლის ქუჩა № 6 Тифлисъ, редакція „Сахалхо Пцелуи“ поч. ящ. 190

## V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათ ის V წ.

სათეატრო სალიტერატურო, სამხატვრო
კვირეული ჟურნალი

# თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ხელის მომწ ,ნი მიიღებენ
ორ პრ იას

**აკაკის** „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ვ. ლომთათიძის** „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშ ა, პროგრესიული მიმართ ულე ისა

რნ ალ ში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნ ჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

**ჟურნალის ფასი** ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით. 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად ეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2

**ხელის მოწერა მიიღება:** თბილისში, „სორაპნის“ **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**



ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ისა და ქართველ ხელოვანთა საზ-ის თანხმობით
ძველ ქართულ საეკლესიო ფრესკების **გამოფენა**

გამოფენა გაიღო იანვრის 8, ღიაა დილის 10 საათიდა შუადღის 4 ს-დე შესვლის ფასი—50კ. მოწაფ —25. კ.

**ახალი კლუბი** კვირას 22 იანვარს დილით
წარმოდგენა ი. ზარდალიშვილისა
## კაიუს გრაკხუს
დასაწყ. სად. 12 ს. ფასი: 1-70 კ — 30 კ-დე. რეჟისორი *** ადმინისტრ. დრამ. საზ—ბისა

**ხაროფეხის** საზოგადო **კლუბ**
(მიხეილის პროსპექტზე, № 163)

**ერთი კვირის პროგრამა** იან-29 თებ. 5

**ორშაბათი**—სინემატოგ. სიმებ. ორკ.
**სამშაბათი** —სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.
**ოთხშაბათი** —ქართული წარმოდგენა,
**ხუთშაბათი**—ოპერეტა რუსულ ენაზე.
**პარასკევი**— „არშინ მალ-ალან“, ქართულად
**შაბათი**—რუსული წარმოდგენა
**კვირა**—სიმებიანი ორკესტრი

**შესასვლელი ფასი:** ქალები და სტუდენტები — 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

**დასაწყისი:** წარმოდგენა—კონცერტების და — სინემატოგრაფ—სად. 8 ნახ. ს.

**ახალი კლუბი** 1 კვირის პროგრ. იანვ 29 5 თებ

**კვირა** —რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.
**ორშაბათი**—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.
**სამშაბათი** — საოჯახო საღამო
**ოთხშაბ.** —სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.
**ხუთშაბ.**—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
**პარასკ.** —ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე
**შაბ.** — საოჯახო საღამო
**კვირა**—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ სა. **შესას.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

